

თვისობრივი კვლევა

გენდერული
დეზინფორმაცია
უფლებადამცველი
ქალების წინააღმდეგ

ბაია პატარაია

საფარი 2025

სარჩევი

შესავალი.....	2
მეთოდოლოგია.....	4
დეზინფორმაციის მიზანი.....	5
“პროპაგანდის მანქანა”.....	7
დეზინფორმაციის გენდერული ასპექტი	12
გენდერული დეზინფორმაციის კვალი ჯანმრთელობაზე.....	17
ინტერსექციურობა	18
რადიაციულობა.....	20
დეზინფორმაციასთან და სტრესთან გამკლავების მექანიზმები	21
დასკვნა	26

შესავალი

ტერმინი „ქალი უფლებადამცველი“ მოიცავს ყველა ქალსა და გოგოს, რომლებიც ადამიანის უფლებების საკითხებზე მუშაობენ, იქნება ეს გენდერული თანასწორობა, ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა თუ სოციალური სამართლიანობა. ამავე დროს, იგი მიემართება სამოქალაქო საზოგადოების იმ აქტორებსაც, რომლებიც შესაძლოა, არ იდენტიფიცირდებიან, როგორც უფლებადამცველები, თუმცა, მათი ყოველდღიური საქმიანობა პირდაპირ გავლენას ახდენს ადამიანის უფლებების დაცვაზე¹. ასეთები არიან, მაგალითად, ჟურნალისტები, ჯანდაცვის სექტორის წარმომადგენლები, გარემოს დამცველები, ჰუმანიტარული სფეროს მუშაკები, კერძო სექტორის წარმომადგენლები. ამგვარად, ქალი უფლებადამცველები წარმოადგენენ მრავალფეროვან ჯგუფს, რომლის წევრებიც სხვადასხვა პროფესიული თუ საზოგადოებრივი პოზიციიდან უწყობენ ხელს ადამიანის უფლებების რეალიზებასა და სამართლიანი, თანასწორი გარემოს შექმნას.

თანამედროვე გლობალურ კონტექსტში, სადაც დემოკრატიული ფასეულობები და ადამიანის უფლებების საერთაშორისო სტანდარტები მზარდ წინააღმდეგობას აწყდება, ქალ უფლებადამცველებზე თავდასხმები განსაკუთრებით გამძაფრებულია². დღეს, ქალი უფლებადამცველები სულ უფრო ხშირად ხდებიან მიზანმიმართული დეზინფორმაციის, კიბერ თავდასხმების, მუქარის, სიძულვილის ენის, დისკრედიტაციის კამპანიებისა და ასევე, ფიზიკური ძალადობის სამიზნეები. განსაკუთრებით საგანგაშოა ის, რომ ასეთი კამპანიები, უმრავლეს შემთხვევებში, კოორდინირებულია სახელმწიფო აქტორების მიერ და მიზნად ისახავს უფლებადამცველთა საქმიანობის დელეგიტიმაციას და საზოგადოების თვალში მათი როლის დაკნინებას³.

ქალი უფლებადამცველების მიმართ დეზინფორმაცია ბოლო წლებში ჩამოყალიბდა, როგორც ერთ-ერთი სტრატეგიული მექანიზმი, რომლის მიზანიც არის არა მხოლოდ ინდივიდუალური აქტორების დისკრედიტაცია, არამედ მთლიანად ფემინისტური მოძრაობის შესუსტება და საბოლოოდ, ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიისთვის ძირის გამოთხრა⁴. კვლევები ცხადყოფს, რომ გენდერულად მოტივირებული დეზინფორმაცია და ონლაინ თავდასხმები არ არის სპონტანური ან

¹ ქალი უფლებადამცველის განმარტება ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://tinyurl.com/yc3ustj8>

² <https://tinyurl.com/5x9hzb66>

³ <https://tinyurl.com/mr2krxyt>

⁴ <https://tinyurl.com/yrkybmf2>, para 13.

შემთხვევითი; პირიქით, ისინი ხშირად წარმოადგენენ ორგანიზებულ, პოლიტიკურად დაკვეთილ-მოწყობილ კამპანიებს, რომლებიც მიზანმიმართულად იყენებენ სტერეოტიპებს, სქესობრივი მახასიათებლებით შეურაცხყოფას და ანტიგენდერულ ნარატივებს, ქალი უფლებადამცველების საქმიანობის დელეგიტიმაციისა და მათ მიმართ საზოგადოებრივი ნდობის შერყევის მიზნით⁵.

აღსანიშნავია, რომ ქალ უფლებადამცველებზე გავრცელებული დეზინფორმაცია განსაკუთრებული სიზუსტით მუშაობს, რადგან ის უკვე არსებულ გენდერულ სტერეოტიპებს ეყრდნობა. ნებისმიერი თავდასხმა, რომელიც დაკავშირებულია „ქალის არასწორ ქცევასთან“, „ოჯახური ვალდებულებების უგულვებელყოფასთან“ ან „ქალურ იდენტობასთან“, გაცილებით სწრაფად ვრცელდება და ეფექტიანი, მიზნობრივი გავლენა გააჩნია⁶. გამოვლენილი შემთხვევები აჩვენებს, რომ ქალ უფლებადამცველებს ხშირად ედებათ ბრალად „ტრადიციული ღირებულებების შერყევა“ ან „საზოგადოების მორალური რღვევის ხელშეწყობა“, რაც აგრესიულ სოციალურ ფონს ქმნის და მნიშვნელოვნად ამცირებს ნდობას უფლებადამცველების მიმართ.

დეზინფორმაციის კამპანიები არ შემოიფარგლება მხოლოდ პროფესიული რეპუტაციის დაზიანებით. ხშირად, მას თან ახლავს პირადი მონაცემების გავრცელება, ცილისწამება, გენდერულად დამამცირებელი კომენტარები, სოციალური სტიგმატიზება, მუქარა ადრესატისა და მისი ოჯახის წევრების მიმართ. ზოგიერთ შემთხვევაში, დეზინფორმაციის გავლენა მხოლოდ ციფრულ სივრცეში არ შემოიფარგლება და ფიზიკურ შევიწროებასა და ძალადობაშიც გადადის. ყოველივე აღნიშნული, ძლიერ ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას ახდენს სამიზნეზე, ხშირად იწვევს თვითცენზურას, აქტივობის შემცირებას ან მის სრულად შეჩერებას⁷.

ამგვარად, დეზინფორმაცია ქალი უფლებადამცველების მიმართ ზღუდავს მათ ჩართულობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, აზიანებს დემოკრატიულ პროცესებს და, უკიდურეს შემთხვევებში, ასევე აძლიერებს სტრუქტურულ დისკრიმინაციას, ართულებს მართლმსაჯულებაზე წვდომას და ხელს უწყობს გენდერული ძალადობის ნორმალიზებას, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ქალი

⁵ <https://tinyurl.com/3u4wdytw>

⁶ გენდერული დეზინფორმაციის შესახებ ვრცლად იხ.

https://www.apc.org/sites/default/files/genderDisinformation.pdf?utm_source=chatgpt.com, გვ. 8-18.

⁷ <https://tinyurl.com/mr2krxyt>

უფლებადამცველების უსაფრთხო და თავისუფალი საქმიანობის შესაძლებლობას⁸. საბოლოოდ, დეზინფორმაცია აჩენს ღრმა დემოკრატიულ პრობლემას: ამცირებს პლურალიზმს, ასუსტებს კრიტიკულ ხმებს და აფერხებს პოლიტიკური მონაწილეობის რეალურ შესაძლებლობებს. საერთაშორისო დონეზე, როგორც გაერო, ისე ევროპის საბჭო და ევროკავშირი აღნიშნავენ, რომ ქალი უფლებადამცველების დაცვა მოითხოვს კომპლექსურ, მრავალდონიან პოლიტიკას და სახელმწიფოებს შესაბამისი მექანიზმების შექმნისკენ მოუწოდებენ⁹.

2024 წელს, საფარმა ჩაატარა პოლიტიკოსი ქალების წინააღმდეგ გამოყენებული გენდერული დეზინფორმაციის კვლევა¹⁰. კვლევამ გამოავლინა, რომ გენდერულ დეზინფორმაციას აქვს სპეციფიკური მიზნები. კერძოდ, ეს შეიძლება, იყოს სოციალურად აქტიური ქალების გაჩუმება, მათი ფსიქოლოგიურად გატეხვა, რეპუტაციული ზიანის მიყენება და ქალების პოლიტიკიდან განდევნა. ასევე, კვლევამ გამოავლინა გენდერული დეზინფორმაციის სპეციფიკური ფორმები და საზიანო შედეგები. სწორედ ეს კვლევა გახდა ინსპირაცია, გვეკვლია უფლებადამცველი ქალების მიმართ განხორციელებული გენდერული დეზინფორმაცია.

მეთოდოლოგია

წინამდებარე ხარისხობრივი კვლევა ეყრდნობა ოთხი ფოკუს-ჯგუფის ანალიზს. ამათგან, ორი ფოკუს-ჯგუფი შედგებოდა აქტივისტი ქალებისაგან (ერთი ფოკუს-ჯგუფი ჩატარდა თბილისელებთან, მეორე – რეგიონების აქტივისტებთან); ერთი ფოკუს-ჯგუფი შედგებოდა ექსპერტებისაგან, რომლებიც უშუალოდ მუშაობენ დეზინფორმაციის თემაზე, ადგილობრივ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებში; ერთი ჯგუფი კი შედგებოდა არასამთავრობო ორგანიზაციების ხელმძღვანელი ქალებისაგან. კვლევაში გამოყენებულია ხელმისაწვდომი შერჩევის ჩარჩო. რესპონდენტები შეირჩა მათი აქტივიზმის და მაღალი საზოგადოებრივი ხილვადობის გათვალისწინებით.

ფოკუს-ჯგუფების საშუალო ხანგრძლივობა იყო საათნახევარი და ეფუძნებოდა ნახვერადსტრუქტურირებულ კითხვარს, რომელიც იკვლევდა უფლებდაცამცველი

⁸ <https://tinyurl.com/yhnyuuxw>;

⁹ <https://tinyurl.com/mwxtjyf>;

¹⁰ გენდერული დეზინფორმაცია პოლიტიკოსი ქალების წინააღმდეგ, საფარი, 2024. იხ. <https://tinyurl.com/3vpbumxr>

ქალების მიმართ საქართველოში გამოყენებული გენდერული დეზინფორმაციის პრაქტიკებს, გენდერულ მახასიათებელს, განზრახვის არსებობას, კოორდინაციის მასშტაბს და ეფექტებს, დეზინფორმაციის სახეების და დეზინფორმაციის აქტორების გამოვლენის პროცესს. რესპონდენტები, ასევე, გამოიკითხნენ დეზინფორმაციასთან გამკლავების შესაძლო ხერხების თაობაზეც. ფოკუს-ჯგუფის წინ, მონაწილეებს განემარტათ გენდერული დეზინფორმაციის არსი და ძირითადი მახასიათებლები, კვლევის მიზნები და მეთოდოლოგია და ეცნობათ, რომ კვლევა არის კონფიდენციალური და მონაწილეთა ვინაობა არ გამოჟღავნდება. წინამდებარე კვლევა ინფორმაციას აგროვებს და აანალიზებს ფოკუს-ჯგუფში მონაწილე პირების დაკვირვებებს, გამოცდილებას და მიგნებებს. მონაცემთა ანალიზისთვის, გამოყენებულია ტრანსკრიპტზე დაფუძნებული და ნარატიული ანალიზის მეთოდები. აღსანიშნავია, რომ დეზინფორმაციის კვლევის ინსტრუმენტი პირველად გამოყენებული იყო პოლიტიკოსი ქალების წინააღმდეგ არსებული დეზინფორმაციის კვლევისას. ქვემოთ მოცემულია კვლევის ძირითადი მიგნებები.

დეზინფორმაციის მიზანი

დეზინფორმაციის მიზანზე ყველა ფოკუს-ჯგუფში ვრცლად ისაუბრეს და კვლევის მონაწილეთა მოსაზრებები დიდწილად ერთმანეთს ემთხვეოდა. ყველა თანხმდება, რომ დეზინფორმაციის მთავარი მიზანი არის აქტიური ქალების ჩამოშორება აქტივიზმისაგან და საჯარო ცხოვრებიდან. ამ მიზნის მისაღწევად, სხვადასხვა ტაქტიკებია გამოყენებული. მათ შორისაა აქტივისტებისთვის ფსიქოლოგიური ზიანის მიყენების პრაქტიკა. ერთ-ერთი მონაწილის ციტატის მიხედვით, დეზინფორმაციის მიზანია, *“დაგთრგუნოს ემოციურად ისე, რომ მოგინდეს, რომ გაერიდო საერთოდ, გაჩუმდე, თავი შეიკავო”*. რესპონდენტები ამბობენ, რომ ზოგჯერ, ოპონენტები აღწევენ ამ მიზანს, რის გამოც, აქტივისტები თავს იკავებენ საკუთარი აზრის გამოთქმისგან. ყოფილა შემთხვევა, როდესაც საჯაროდ დაუწერიათ პრობლემის შესახებ და მალევე წაუშლიათ, რადგან არ ჰქონდათ დეზინფორმაციულ შემოტევასთან გამკლავების რესურსი.

რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ ერთი აქტივისტის წინააღმდეგ მასიური დეზინფორმაციული კამპანიის წარმოებას შეიძლება, სხვებისათვის გამაფრთხილებელი მესიჯის დაგზავნის მიზანიც ჰქონდეს: *“ყველას აჩვენონ, სხვებს,*

რომ ძალიან ძვირი ჯდება აქტიურობა და ეს როგორც შენ გეხება, ისე შენს ახლობლებს ეხებათ და ყველაფერზე რომ წამსვლელები არიან”.

აქტივისტები აღნიშნავენ, რომ ამას მართლაც აქვს ეფექტი სხვებზეც. ერთ-ერთი რესპონდენტი იხსენებს, რომ მისი სახლის ჩხრეკის შემდეგ, ამ მოვლენასთან დაკავშირებით, ბევრ კომენტარს ჰქონდა მსგავსი შინაარსი: *“აი, ამის თავი როგორ გაქვს?! ამდენს ვერ გავუძლებდი”*. შესაბამისად, რესპონდენტები თანხმდებიან, რომ დეზინფორმაციულ კამპანიებს მათ წინააღმდეგ აქვს მსუსხავი ეფექტი სხვა ადამიანებზე, რადგან ხშირად ჩანს, რომ ქალები აქტივიზმისაგან თავს იკავებენ სწორედ მსგავსი კამპანიების გამო.

რესპონდენტების მიხედვით, დეზინფორმაციული კამპანიების მიზანი, ასევე, არის ქალი აქტივისტების და უფლებადამცველებისთვის იმიჯის გაფუჭება (*“ეს ხატი აქვთ შექმნილი, თითქოს წიკვინა, რაღაცა მომაბეზრებელია ესეთი ქალი”*). აქტივისტები აღნიშნავენ, რომ ამასთან გასამკლავებლად, ხშირად სჭირდებათ საკუთარი თავის შეგულიანება და იმის გახსენება, რომ უფლებადაცვითი საქმიანობა საამაყოა.

დეზინფორმაციული კამპანიების ერთ-ერთ მიზნად სახელდება აქტივისტებისაგან მტრის ხატის შექმნა: *“ყველა უნდა შერაცხონ რადიკალად, ცუდ ადამიანად, არასწორ ადამიანად...”*. კვლევის მონაწილეებისთვის ცხადია, რომ ასეთი კამპანიების მიზანი არის აქტივისტების საზოგადოებიდან განკვეთა.

კვლევაში მონაწილე ექსპერტი გვიყვება, რომ დისკრედიტაციასთან ერთად, დეზინფორმაციული კამპანიის მიზანი ზოგჯერ არის პირდაპირ ადამიანის დეჰუმანიზაცია, თითქოს პროტესტის მონაწილე ქალი არის *“არასაკმარისად ადამიანი”*, *“არასაკმარისად ქართველი ქალი”*, რადგან თუ აქტივისტის დეჰუმანიზაცია მოხდა, მნიშვნელობა აღარ აქვს, თუ რას ილაპარაკებს ის. ექსპერტი აღნიშნავს, რომ დეზინფორმაციის მანქანის ავტორები ფულს ხარჯავენ და ასპონსორებენ ისეთი შინაარსის კონტენტს, რომლის მიზანია საზოგადოებაში აქტივისტის მიმართ არასერიოზული დამოკიდებულების და მისი პიროვნების მიმართ მიუღებლობის ჩამოყალიბება. ექსპერტის მოსაზრებით, ეს მიზანი გრძელვადიანია და ახასიათებს მესიჯბოქსის ხშირი გამეორება, რათა სამომავლოდ, კონკრეტულ ადამიანს არ მოუსმინონ, მიუხედავად იმისა, თუ რა პრობლემაზე ისაუბრებს ის მომავალში.

კვლევის მონაწილეები ფიქრობენ, რომ დეზინფორმაციულ კამპანიებს, ასევე, აქვთ კონკრეტული პიროვნების საქმიანი რეპუტაციის შელახვის მიზანი. ერთ-ერთი გავრცელებული ხერხია ქალი აქტივისტის პირად სივრცეში გადაღებული ფოტოს ან ვიდეოს გამოყენება და ამ გამოსახულების დართვა მის საქმიან განცხადებასთან, რათა პირი გამოჩნდეს კონტექსტთან შეუსაბამოდ, კომიკურად და არაკომპეტენტურად. რესპონდენტი იხსენებს: *“არასერიოზული ფოტო სერიოზულ ინფორმაციას მიაბებს, რაღაცა გაშარჟებას აკეთებენ ხოლმე”*.

კვლევის მონაწილე ერთ-ერთი ექსპერტი ამბობს, რომ დეზინფორმაციული კამპანიების მთავარი მიზანი არის არა მხოლოდ რომელიმე ადამიანის დისკრედიტაცია, არამედ მთლიანად პროცესის დისკრედიტაცია, განსაკუთრებით კი – პროტესტის პერიოდში. *“მე როგორც ვხედავ, არის პროცესის დისკრედიტაცია მონაწილეების დისკრედიტაციით: ამათ გვერდით როგორ უნდა დადგე, ესენი სხვა ღირებულებების მატარებელი ხალხია, სხვა მიზნები ამოძრავებთ”*.

საინტერესოა კვლევის ერთ-ერთი მონაწილის ანალიზიც, რომელიც მიიჩნევს, რომ დეზინფორმაციული კამპანიების სიხშირე იწვევს ამ მოვლენის ნორმალიზებას, რაც საზიანოა ჯანსაღი საზოგადოებისათვის. მისი თქმით, მსგავსი კამპანიების მიზანი არის საზოგადოების *“მორალურ ხრწნასთან შეგუება და ამ კამპანიების ნორმალიზება”*.

“პროპაგანდის მანქანა”

კვლევის აბსოლუტურად ყველა მონაწილე აღნიშნავს, რომ დეზინფორმაციული კამპანიები კოორდინირებულია, კოორდინაცია კი გაზრდილია თვისობრივად და რაოდენობრივად, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში. კვლევაში მონაწილე ექსპერტი იხსენებს შემთხვევას, *“როცა 9 წუთის ინტერვალში გაავრცელა ინფორმაცია ექვსმა სხვადასხვა წყარომ, ძალიან აასწრაფეს”*. აღნიშნული მოვლენები დაფიქსირდა პროტესტების კვალდაკვალ, პროვეროპული აქციების კონტექსტში. ამასთან, კამპანიები ეხება არა მხოლოდ საზოგადოებისთვის კარგად ცნობილ სახეებს (მაგალითად, არასამთავრობო ორგანიზაციების ხელმძღვანელ ქალებს), არამედ – აქციის რიგით მონაწილეებსაც.

ერთ-ერთი ექსპერტი გამოყოფს ჯგუფებს, რომელთა წარმომადგენლებიც ყველაზე ხშირად ხდებიან დეზინფორმაციული კამპანიების სამიზნეები. ის საუბრობს არასამთავრობო ორგანიზაციების ხელმძღვანელებზე, აქტივისტებზე, ჟურნალისტებზე, მსახიობებზე, პოლიტიკოსებსა და ევროკავშირის ლიდერ ქალებზე და აღნიშნავს, რომ ევროკავშირის ლიდერი ქალების დისკრედიტაციით, ხდება თავად ევროკავშირის დისკრედიტაცია.

როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, ბოლო ორი წელია, გარკვეული დეზინფორმაცია იქმნება არა ანონიმური და მადისკრედიტირებელი გვერდების მიერ, არამედ პირდაპირ ვრცელდება სახელისუფლებო მედიის საშუალებით, რაც ადრე ასე არ იყო. *“პოსტ TV განსაკუთრებით ავლენს ხოლმე ისეთ მახასიათებლებს, რომლებიც აქამდე ჰქონდათ მარტო არაავთენტურ გვერდებს, რომლებსაც, როგორც წესი, იყენებდნენ ხოლმე დეზინფორმაციის გასავრცელებლად”.*

ამავდროულად, აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი პროსახელისუფლებო ტელევიზია არ ერიდება არა მხოლოდ დეზინფორმაციის, არამედ ღიად სიძულვილის ენის ტირაჟირებას. *“პოსტ TV-ს, მაგალითად, ჰქონდა არა მხოლოდ დეზინფორმაცია, არამედ – სექსისტური სიძულვილის ენის შემცველი ქარდებიც”.* ექსპერტები აღნიშნავენ, რომ რაც უფრო იზრდება “საინფორმაციო მოგუდვის პოლიტიკა და ცენზურა”, მით უფრო მატულობს აგრესიული რიტორიკა პროსახელისუფლებო არხებზე. ამ მხრივ, რესპონდენტები გამოარჩევენ პოსტ TV-ს, სადაც ძალიან ხშირადაა განხილვის საგანი ქალი აქტივისტების ფსიქიკური ჯანმრთელობა, როგორც მათი საქმიანობის შეფასების ერთ-ერთი კრიტერიუმი.

ექსპერტები ასევე აღნიშნავენ, რომ ბოლო პერიოდში, არაავთენტური და ავთენტური გვერდების კოორდინირებული მოქმედება მნიშვნელოვნად გაიზარდა სოციალურ ქსელ ტიკ-ტოკზეც, ფეისბუქის მსგავსად. ექსპერტი რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ ვიდეოკონტენტი, რომელიც ზიარდება Tik-Tok-სა და Facebook-ზე, ხშირად პირდაპირ ხვდება ტელევიზიებში. მათ მიერ ჩატარებული მედიამონიტორინგი აჩვენებს, რომ სატელევიზიო გადაცემებში უჩვენებენ ამ ვიდეოებს, ხოლო სატელევიზიო გადაცემის წამყვანები აკომენტარებენ მათ. მათივე თქმით, ეს ვიდეოები არის ხშირად კონტექსტიდან ამოგლეჯილი კონკრეტული მონაკვეთები, წარმოადგენს “ნახევრად სიმართლეს” და ქმნიან ცრუ შთაბეჭდილებას ვიდეოს სრული შინაარსის შესახებ. *“ზოლო ორი წელი, რაც მადისკრედიტირებელი კონტენტის გავრცელება დაიწყო, უკვე ვეღარ გავარჩევ, როცა შეხედავ, ადრე უფრო*

განსხვავებულ კონტენტს დებდნენ ხოლმე და ახლა უკვე რთულია. პოსტს თუ შეხედავ, უკვე შეიძლება, გაგიჭირდეს თქმა, ეს ანონიმურ-მადისკრედიტირებელ გვერდზე გამოქვეყნდა თუ გამოაქვეყნა მედიაში”.

ასევე, აღსანიშნავია, რომ დეზინფორმაციის კამპანიებში ძალიან აქტიურად არიან ჩაბმულნი ხელისუფლების მაღალჩინოსნები. ექსპერტების თქმით, ისინი უბრალოდ კი არ მონაწილეობენ დეზინფორმაციულ კამპანიებში, არამედ დეზინფორმაციული ამბების პირველწყაროდაც გვევლინებიან. ფოკუს-ჯგუფებში დეზინფორმატორებად ყველაზე ხშირად სახელდებოდნენ პარლამენტის სპიკერი შალვა პაპუაშვილი და პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე. *“ფაქტიურად, ტროლები არიან პრემიერი, პარლამენტის თავმჯდომარე, თბილისის მერი... ფრაზებიც გინებასთან ერთად და სიტყვებიც, სამიზნე სიტყვები იყო ის, რასაც იტყოდა, მაგალითად, ან კობახიძე, ან მდინარაძე, ან ვიღაცა. მაქედან ჩანდა, რომ ერთი ხელია, ერთი და იგივეა”.*

ექსპერტების დაკვირვებით, დეზინფორმაციულ კამპანიებს ხშირად უკავშირებენ რომელიმე მოვლენას, მაგალითად, ქალი აქტივისტის სახლის ჩხრეკას. ასეთ შემთხვევებში, კარგად გამოჩნდა მაღალი კოორდინირებულობა, როცა მრავალი მედიუმი ერთდროულად იწყებს კონკრეტული ქალი აქტივისტის გაშავებას. ერთ-ერთი აქტივისტი იხსენებს, რომ ჰქონდა ოჯახში ძალადობის პრობლემა და ინფორმაციამ გაჟონა პოლიციიდან. შესაბამისად, რამდენიმე საათში დაიწყო შეტევა: *“წამში ასი თავი მომდიოდა, იპოსტებოდა ძაან ჩქარა”.*

მსგავსი ტენდენცია იკვეთება ქუჩაში პლაკატების გამოკვრის შემთხვევებშიც. ბანერებზე და პლაკატებზე დატანილი მესიჯები პარალელურად ვრცელდებოდა სხვადასხვა Facebook გვერდებზე და დიდი დროის განმავლობაში ტრიალებდა. ქალაქში ათასობით პლაკატის გამოკვრა თავისთავად მიანიშნებს მაღალ კოორდინირებულობაზე.

ექსპერტების თქმით, მაღალი კოორდინირებულობა ახასიათებს სპეციალურად გაკეთებულ ვიდეოებსაც. როგორც წესი, ვიდეოდან ამოჭრილია ის მონაკვეთები, სადაც მათი თავდასხმის ობიექტ ქალს აქვს სპეციფიკური გამომეტყველება, ან ამოჭრილია ისეთი მოქმედებები, როგორცაა, მაგალითად, აძრომა ან გადაბიჯება. ამ ვიდეოებს თან ახლავს დამაკნინებელი ხასიათის კომენტარები, მაგალითად – “ეს ქალის სახე არაა”. კვლევის ერთ-ერთი მონაწილე იხსენებს, რომ მასობრივად გავრცელდა ვიდეო, სადაც ორი აქტივისტი ქალის გინება ისმის, თუმცა არ ჩანს, რა

ინციდენტი უძღვოდა წინ ქალების მწყობრიდან გამოყვანას. ვიდეო ისეა დამონტაჟებული, რომ არ ისმის, თუ როგორ აგინეს პოლიტიკოსმა, მისმა დაცვამ და სხვა თანმხლებმა პირებმა მანამდე ამ ორ ქალს, და თან ერთ-ერთს ხელიც კი დაარტყეს.

კიდევ ერთი აქტივისტი რეგიონიდან იხსენებს, რომ კონფლიქტი ჰქონდა პოლიციასთან, მაგრამ გავრცელდა ვიდეოს მხოლოდ ის ნაწყვეტი, სადაც ის კონტექსტიდან ამოგლეჯილად უყვირის პოლიციელს. აღნიშნული ვიდეო ვირუსულად გავრცელდა ორ საათის ინტერვალში, სხვადასხვა გვერდების მიერ.

კვლევის მონაწილეები ასევე აღნიშნავენ, რომ ხშირად ვიდეოდან ან კომენტარიდან ხდება ისეთი წინადადების უკონტექსტოდ ამოჭრა, რომელიც განსაკუთრებით მტკივნეულია ან პრობლემატურია ქალისთვის. მათი თქმით, კონტექსტის დამახინჯება და ამის კოორდინირებულად, ვირუსულად გავრცელების პრაქტიკა გამოიყენება ასევე უფლებადამცველი ქალის პროფესიონალიზმის დისკრედიტაციის მიზნითაც.

რესპონდენტები კოორდინაციის მაგალითად იხსენებენ ისეთ ხშირ შემთხვევებს, როცა სხვადასხვა Facebook გვერდები აკოპირებენ ქალი უფლებადამცველების პოსტებს: *“უკეთებენ რაღაც სენსაციურ სათაურს... რომ „გულაობ“, ეგეთი ფოტო დაადონ და აღაშფოთონ ხალხი ამ ვიზუალით”*. ასეთი პოსტების ქვეშ ხშირია ვიზუალური მასალით და შეუსაბამო სათაურით აღშფოთებული ხალხის კომენტარები და კონკრეტული სამიზნის მიმართ ერთმნიშვნელოვნად ყალიბდება უარყოფითი განწყობა საზოგადოებაში. ადამიანები ხშირად არ კითხულობენ სრულ პოსტს და შთაბეჭდილებას იქმნიან პოსტის ნაწყვეტით და თანდართული არაადეკვატური ფოტოთი.

კვლევის მონაწილეები აღნიშნავენ, რომ ასე მანიპულაციურად და ნახევარი სიმართლით შექმნილ ქარდებისა თუ ვიდეოების ქვეშ ორკესტრირებულად იწერება ერთი და იგივე კომენტარები, ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით: *“ხანდახან მაქვს განცდა, რომ ქოფი-ფეისითი აგდებენ”*. ამასთან, ასეთი შინაარსის მასალა მიაქვთ ისეთ გვერდებზე სოციალურ ქსელებში, რომელსაც ბევრი გამომწერი ჰყავს და სპეციალურად აგდებენ ისეთ ჯგუფებში, საიდანაც კიდევ უფრო გავრცელდება. ერთ-ერთი რესპონდენტი რეგიონიდან იხსენებს, რომ მსგავსი შემოტევები ხშირად იწყება ტელევიზია იმედზე გასული სიუჟეტის შემდეგ. მისი თქმით,

ტელედეზინფორმაციის კვალდაკვალ, ამ დროს განსაკუთრებულად აქტიურებიან შუა ხნის და ასაკოვანი ქალები, რომლებიც არიან იმედის მაყურებლები და მხოლოდ ამ წყაროდან იღებენ ინფორმაციას.

მადისკრედიტირებელი კამპანიების საწარმოებლად, ყოველთვის დეზინფორმაცია არ გამოიყენება, *“მეთოდები არის განსხვავებული, ანუ ყველაფერს იყენებენ ერთდროულად”*. რესპონდენტები იხსენებენ, რომ ასევე, ხშირია ისეთი სახის დეზინფორმაციის გავრცელება, რომელიც ეხება მათ პირად ცხოვრებას და რომლის გადამოწმება ღია წყაროებით შეუძლებელია, განსაკუთრებით, თუ ეს ეხება ქორწინებას, სექსუალურ ორიენტაციას, ინფორმაციას პარტნიორის შესახებ და სხვ.

ეს კოორდინირებულობა იმაშიც გამოიხატება, რომ დეზინფორმაციის გავრცელების მეთოდი შეცვლილია იმ კუთხით, რომ იგი ადვილად ვერ აღმოაჩინოს ფეისბუქმა. ექსპერტის თქმით, მუშაობენ *“ტროლები ორი ფუნქციით: ზოგი გადაზიარებას ახდენს, ზოგი კომენტარებს წერს”*. ექსპერტის თქმით, ადრე ერთი და იგივე შინაარსის კონტენტი ვრცელდებოდა ანონიმურ გვერდებზე ერთდროულად. ეს მეთოდი გარკვეულწილად შეცვლილია, რათა Facebook-მა თავისი საზოგადოებრივი სტანდარტების დარღვევა ვერ დააიდენტიფიციროს. ადრე თუ *“ერთი ანგარიშიდან ხდებოდა ბევრზე გადასვლა, ახლა აქვთ გადანაწილებული ფუნქციები და ვთქვათ, ზოგჯერ გვერდი ავრცელებს და ინდივიდუალურ ანგარიშებსაც აკოორდინირებენ, რომ არ წაუშალოს Facebook-მა”*.

ერთ-ერთმა ექსპერტმა ასევე გაიხსენა პარტია ქართული ოცნების და ტელევიზია იმედის ერთობლივი კოლაბორაცია არასამთავრობო ორგანიზაციების ლიდერი ქალების წინააღმდეგ. ეს ქალები ქართული ოცნების პოლიტიკურ რეკლამაში ჩანდნენ და მათი ფოტოების გასწვრივ ეწერა: *“არ დავუშვებთ ოჯახური ტრადიციული ღირებულებების შეურაცხყოფას”*. მიუხედავად იმისა, რომ ქალებმა სარჩელით მიმართეს როგორც კომუნიკაციების კომისიას, ისე – საარჩევნო ადმინისტრაციას, ორივე უწყებამ თვალი დახუჭა კლიპის შინაარსზე, რომლის მიზანიც იყო ამ უფლებადამცველი ქალების მიზანმიმართული დისკრედიტაცია. აღნიშნული კლიპი ტრიალებდა პოლიტიკური რეკლამის სტატუსით, ის კრიტიკული მედიასაშუალებები კი, რომლებმაც უარი თქვეს ასეთი კლიპის გაშვებაზე, დააჯარიმეს.

რესპონდენტები კოორდინაციის მაგალითად მიიჩნევენ იმ შემთხვევას, როდესაც რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციას ორ დღეში დაემატა 20 000-ამდე ყალბი გამოძიერი. ასევე, კოორდინაციის მაგალითად მიიჩნევენ იმ ორგანიზებულ შეტევასაც, როდესაც ათობით უფლებადამცველთან და მათი ოჯახის წევრებთან ერთდროულად ხორციელდებოდა მუქარის შემცველი და შეურაცხყოფელი ზარები. *“ამ დარეკვების დროს, ხომ მთელ ოჯახს ურეკავდნენ – მშობლებს, დებს, და ყველას ეუბნებოდნენ, რომ თუ არ შეწყვიტავს ახლა ეგ თქვენი შვილი აქციებზე სიარულს... ამას ვუზამთ, იმას ვუზამთ”.*

კვლევის რესპონდენტები ხშირად აღნიშნავენ ადმინისტრაციული რესურსის ჩართულობას დეზინფორმაციულ კამპანიებში, მათ შორის, მთავრობის სტრატეგიის ხალხის ჩართულობასაც, რაც ფეისბუქმაც დაადასტურა. ერთ-ერთი აქტივისტი რეგიონიდან იხსენებს, რომ შეპარეული იყო ისეთ ფეისბუქ ჯგუფში, სადაც იწერებოდა, თუ რა უნდა მოეწონებინათ და რა უნდა გავრცელებინათ. რესპონდენტის თქმით, ამ ჯგუფებში ძირითადად გაწევრიანებული იყო მუნიციპალიტეტში დასაქმებული ხალხი. ერთ-ერთი რესპონდენტი რეგიონიდან ასევე იხსენებს, რომ ჰქონდა ეჭვი იმის თაობაზე, რომ პენიტენციურ უწყებაში დასაქმებული მისი ერთი ნაცნობი მუშაობდა სახელისუფლებო ტროლად. ამის გამოსავლენად, როცა ფიზიკურად მის სიახლოვეს იმყოფებოდა, დარეკა ტროლის ფეისბუქ გვერდზე და დაინახა, თუ როგორ შეუვიდა ზარი ტელეფონზე ამ ადამიანს, რითიც საბოლოოდ დადასტურდა უფლებადამცველის ეჭვები. აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტების თანამშრომლებისგან ორგანიზებულ ონლაინ შეტევებზე საუბრობს კვლევის მონაწილეთა უმრავლესობა; კვლევით დასტურდება, რომ მუნიციპალიტეტების თანამშრომლების გამოყენება დეზინფორმაციის გასავრცელებლად გავრცელებული პრაქტიკაა.

დეზინფორმაციის გენდერული ასპექტი

კვლევის მონაწილე რესპონდენტებიდან, უკლებლივ ყველა აღნიშნავს, რომ ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი, რა ნიშნითაც თავს ესხმიან ქალებს, არის მათ გარეგნობაზე კომენტარები. მათი დაკვირვებით, გარეგნობის ნიადაგზე ბულინგი

კაცი უფლებადამცველების მიმართ იშვიათია, ქალებთან კი გადაჭარბებულად გვხვდება. *“ეს “მახინჯოც” ასე სუპერ აქტიურად კაცებთან არ გვხვდება”, – ამბობენ ქალები. ისინი იხსენებენ კომენტარებს წონის მატებასთან და წონის კლებასთან დაკავშირებით (“რაც აქტივიზმი დაიწყე, როგორ გასივდი”; “გასუქებული დედაკაცი”). ხშირად დასცინიან კბილებზეც. ერთ-ერთი აქტივისტი იხსენებს, რა ინტენსივობით დასცინოდნენ მას დიდი ყბის თემაზე: “უკვე დავფიქრდი, ცოტა დიდი ყბა ხომ არ მაქვს და თურმე ის ამბავი ყოფილა, ქვემოდან რომ იღებ ვიდეოს, დიდი ყბა გიჩანს”.*

რესპონდენტების თქმით, გვხვდება რეპლიკები “თავი დაიბანე”, რაც შეიძლება სხვადასხვა მნიშვნელობის მატარებელი იყოს და საერთოდ არ იყოს კავშირში ჰიგიენასთან. უმეტესად, კომენტარები გარეგნობაზე დაკავშირებულია გენდერთან: *“ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი შემახილი ჩვენს ქვეყანაში – ქალს დაემსგავსე!”*. ასევე, რესპონდენტები იხსენებენ ისეთ კომენტარებს, როგორცაა “რანაირად იცინი”. მათი თქმით, კონკრეტულ მედიაკონტენტში ხშირია მიზანმიმართულად “უშნო ფოტოს გამოყენება”, ან ლაპარაკის დროს უჩვეულო მიმიკის დაფიქსირება და ფოტოდ გამოყენება, რათა კომენტარებში კონკრეტული ქალის „არასათანადო“ გარეგნობაზე ისაუბროს ხალხმა.

გარეგნული კუთხით აქტივისტის დისკრედიტაცია ხშირია. თუ მას არასტანდარტული გარეგნობა აქვს, ხშირად უკეთებენ მსგავსი შინაარსის კომენტარებს: *“აი, ეს გოგოა თუ ბიჭი, თვითონ თუ გაურკვევია!”*. განსაკუთრებით ყურადღებას ამახვილებენ, თუ ქალი რიხით საუბრობს და “მამაკაცურ ჟესტიკულაციას” იყენებს. ერთ-ერთი რესპონდენტი იხსენებს: *“აქციის ვიდეო კადრებიდან იყო ამოჭრილი სხვადასხვა მომენტები, სადაც ამ გოგოებსა თუ ქალებს, „არაქალურობის“ გამო აკრიტიკებდნენ”*.

კვლევის მონაწილე ქალები ამბობენ, რომ მათ წინააღმდეგ ხშირად იყენებენ გენდერულად სპეციფიკურ ისეთ მახასიათებლებს, როგორცაა “ემოციური, იმპულსური, არასერიოზული”; *“ემოციური ნაწილი ბოროტად არის გამოყენებული განსაკუთრებით ქალების მიმართ”*. განსაკუთრებით დასცინიან ქალების ცრემლიან და ამაღელვებელ გამოსვლებს და ხშირად, ამას უკავშირებენ არა მხოლოდ ემოციურობას, არამედ – არაჯანსაღ ფსიქიკას.

ერთ-ერთი აქტივისტი იხსენებს, როგორ დაიწყეს მასა და მის საქმროს შორის ნათესაური კავშირის გამორკვევა, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ნათესავები არ არიან. მან გაიხსენა სხვა მსგავსი შემთხვევებიც. *“არკვევდნენ, თაობაში ხომ არ ჩავიჭერი და დიდხანს გრძელდებოდა ამ აბსურდული ვითარების გარკვევა”*. ანალოგიურად, მეორე აქტივისტი იხსენებს, რომ მასზე ვრცელდება დეზინფორმაცია, თითქოს შვილები საკუთარი ბიძაშვილისგან ჰყავს, რაც, ცხადია, სრული აბსურდია. კიდევ ერთი მონაწილე გვიყვება, რომ არკვევდნენ, ნამდვილად ციხეში მოაწერა თუ არა ხელი მეუღლესთან. ასევე, რესპონდენტები იხსენებენ იმ ქალ აქტივისტს, რომელიც ქმარს 15 წლის წინ გაშორდა და არანაირი კონტაქტი არ აქვს მასთან, თუმცა, მიუხედავად ამისა, მუდმივად არის განხილვის საგანი მისი ყოფილი მეუღლე. *“ეგ უნდა შეიცვალოს, რომ არ იყოს ოჯახი, ქალი, მისი საცვლები, მისი გარეგნობა, ქექვის საგანი”*, – ამბობს რესპონდენტი.

კვლევის მონაწილეებმა დააფიქსირეს ისეთი შემთხვევებიც, როდესაც დეზინფორმაცია აგებულია მისი სამიზნის ცხოვრების პირად ტრაგედიაზე. ერთ შემთხვევაში, ქალ აქტივისტს ბრალს სდებენ იმაში, რომ წლების წინ, მისმა მეუღლემ სიცოცხლე სუიციდით დაასრულა. მეორე რესპონდენტი იხსენებს თავისი ოჯახის წევრის ტრაგიკულ დაღუპვას და ამბობს, რომ მას ახლაც კი წამოამახებენ ხოლმე ამ ფაქტს, როგორც ღმერთისგან მოვლენილ სასჯელს: *“ეს ის არ არის, კაცო, ღმერთმა რომ ერთხელ დასაჯა და მაინც რომ არ ჩერდება და არ ჩუმდება, ამხელა ტრაგედია დაატყდა თავს და ეს მაინც ლაპარაკობსო”*.

ქალი აქტივისტები, რომლებსაც შვილები ჰყავთ, ცალკე გამოყოფენ დეზინფორმაციისა და ბულინგის იმ ნიაღვარს, რაც მათ დედობას უკავშირდება. ამ ქალებს ხშირად ადანაშაულებენ იმაში, რომ “ბავშვები უპატრონოდ დაყარეს”. ერთ-ერთი მონაწილე აღნიშნავს, რომ ხშირად გაუგია მის მიმართ გამოთქმული კრიტიკა: *“ქალს ბავშვები ჰყავს დაყრილი და სულ ქუჩაში გდია”*. ის აღნიშნავს, რომ ასეთი დეზინფორმაცია მართლა მუშაობს საზოგადოებრივ აზრზე, რადგან კომენტარების ავტორები მიიჩნევენ, რომ *“შენ შენი შვილები არ დააპრიორიტეტე და დააპრიორიტეტე აქციებზე სიარული და ცუდი ქალი ხარ, ცუდი დედა ხარ”*.

ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მოვლენა დეზინფორმაციულ კამპანიებში არის მიზანმიმართული თავდასხმა ქალების სექსუალობაზე. ყველა მონაწილემ აღნიშნა, რომ მას მოიხსენებენ “ბოზად”. ერთ-ერთი აქტივისტი რეგიონიდან აღნიშნავს, რომ მის ეთნიკურ ჯგუფში განათლებული და თბილისში მცხოვრები აქტივისტი ქალი

ავტომატურად მიიჩნევა “ზოზად” და მუდმივად საუბრობენ, რომ მას ჰყავს ბევრი სექსუალური პარტნიორი. ერთი რესპონდენტი იხსენებს, რომ აქციაზე თავს დაესხნენ, ვინაიდან იყო ზაფხული და ეცვა შორტი. ასევე, ერთ-ერთი რესპონდენტი იხსენებს იმ ფოტოთი მანიპულაციის მაგალითს, რომელზე გამოსახულ აქტივისტ ქალებსაც ხელში ეჭირათ თეთრ ფურცლებზე დატანილი შავი გაფერადებული წრეები, – გაყალბებული არჩევნების ნიშნად. ფოტომანიპულაციით, შავი წრეები წითლად გადაღებეს და კითხვა დასვეს, ნეტავ რას ნიშნავს ეს პროტესტიო. ამ შემთხვევაში, გავრცელებული დეზინფორმაციის კონტექსტიც და კომენტარებიც იყო უკიდურესად სექსუალიზებული და უწმაწური.

უფლებადამცველი ქალები იხსენებენ შემთხვევებს, როცა მათ ფოტოებს სვამენ სექსუალური შინაარსის გამოსახულებებში. რესპონდენტები იხსენებენ, რომ მათ უნახავთ პორნოგამოსახულებაში ჩაფოტოშოფებული საკუთარი სახე. *“ყველა ხვდება, რომ ყალბია, ანუ, არც ცდილობენ, მაგრამ ამ შთაბეჭდილების დატოვებას აქვს ეფექტი: გარდა იმისა, რომ ძალიან არასასიამოვნოა, ვიდეოებში შეიძლება ამან შიშიც გამოიწვიოს”*. კვლევის მონაწილეებმა გაიხსენეს შემთხვევა, როდესაც გავრცელდა დეზინფორმაცია, თითქოს ჩხრეკის დროს უფლებადამცველ ქალს ამოუღეს სექს სათამაშოები. *“რა თქმა უნდა, მსგავსი ნივთები არ ამოულიათ, თუმცა, ესეც მიმართული იყო მისი სექსუალიზაციისკენ და არანაირი შინაარსობრივი განხილვა ამის იქეთ არ მიდის ხოლმე”*. გაიხსენეს ქალი უფლებადამცველის ისეთი ფოტოებიც, რომელსაც აწერია: “ემებს ქმარს”, “ამას თუ გაუძელი... ყველაფერს შეძლებ ცხოვრებაში” და სხვ.

ქალი უფლებადამცველები ასევე ამბობენ, რომ ხშირად იღებენ გაუპატიურების მუქარებს და გინებას, რომელიც არის განსაკუთრებულად უხამსი შინაარსის და სავსეა სექსუალური ფანტაზიებით. ისინი აღნიშნავენ, რომ ასეთი ტიპის გინებები კაცების მიმართ არც უნახავთ და არც გაუგიათ.

გამოკითხვაში მონაწილე თითქმის ყველა უფლებადამცველი ქალი აღნიშნავს, რომ მათი სექსუალური ორიენტაცია მუდმივი განხილვის საგანია და მათ ხშირად მიზანმიმართულად აბრალებენ ლესბოსელობას. *“ლესბიანკას” მეძახიან, მანქანაზეც დამიტოვებს წარწერები, “ლესბოსელი აგენტი” მეწერა”*. ამ დეზინფორმაციას ქალი უფლებადამცველები, როგორც წესი, არ პასუხობენ. ერთ-ერთი ქალი აქტივისტი იხსენებს, რომ მას ხვდება დასპონსორებული პოსტები მზია ამალლობელის სექსუალურ ორიენტაციასთან დაკავშირებით, მეორე რესპონდენტი კი აღნიშნავს,

რომ ასეთი კამპანიის მიზანია, უფლებადამცველები წარმოაჩინოს, როგორც “ამორალური და ყველაფერი ქართულის საწინააღმდეგოს ჩამდენი ხალხი”. რესპონდენტები ასევე აღნიშნავენ, რომ სექსუალური ორიენტაციის განხილვა კაცი აქტივისტების შემთხვევაშიც გვხვდება და მათაც ხშირად უმოწმებენ, თუ როგორია მათი “ხმის ტემბრი, მისი მანერებიც მუდმივად არის რაღაც ლინზის ქვეშ, ოღონდ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად მასკულინურია, ან რამდენად არამასკულინურია”. უფლებადამცველები მიიჩნევენ, რომ ლგბტ თემასთან დაკავშირებულ დეზინფორმაციას პასუხი საერთოდ არ უნდა გაეცეს.

ქალი აქტივისტები საუბრობენ იმ პრობლემებზე, რომელიც ექმნებათ ოჯახის მამაკაც წევრებთან. ერთ-ერთი რესპონდენტი აღნიშნავს: “ამ ქვეყანაში რაც არ უნდა იყოს, არის კაცი ოჯახის წევრი, რომელიც განსხვავებულად რეაგირებს იმაზე, როდესაც ქალი ოჯახის წევრის გარშემო არის რაღაცა ჭორ-მართალი, თუ ინფორმაცია ტრიალებს, რომელიც არის უფრო სექსუალური სახის”. აქტივისტები რეგიონიდან აღნიშნავენ, რომ განსაკუთრებით მწვავეა სექსუალურ და პირად ცხოვრებასთან დაკავშირებული ჭორების გავრცელება აქტივისტი ქალებისთვის და მათი ოჯახის წევრი მამაკაცებისთვის. ერთ-ერთი რესპონდენტი ასევე აღნიშნავს, რომ ხშირად ხვდება აქტივისტი ქალების მამაკაცი ოჯახის წევრის კრიტიკაც (“პატრონი არ ჰყავს, მამა არ ჰყავს, ძმა არ ჰყავს?! კაცი არ ჰყავს გვერდით, რომ ჭკუა ასწავლოს?!”).

საზოგადოებას ხშირად ეჭვი შეაქვს ქალი უფლებადამცველის მოტივაციაში და ფიქრობს, რომ ისინი პოლიტიკოსების გავლენის ქვეშ არიან: “წამოძახება ჩემზე, რომ ვიყავი ვიღაცის გავლენის ქვეშ და სჯეროდათ და დღემდე სჯერათ ვიღაცეებს და ეგ ისეთია, ვერ ჩამოირეცხავ”. ერთ-ერთი აქტივისტი იხსენებს დეზინფორმაციას იმის შესახებ, თითქოს ერთ-ერთმა ოპოზიციურმა ლიდერმა ის დასასვენებლად გაუშვა. ამავე დროს, მათ შორის ოპოზიციური ლიდერებისაგან, ქალი უფლებადამცველების მიმართ გაჟღერებულა, რომ ისინი სუსის მართულები არიან. ერთ-ერთი აქტივისტი გვიყვება: “მივრცელებენ, რომ ნაცებმა მომცეს მანქანა სარბენად, ხაზარაძის ლეკვი რომ ვარ და ის რომ მიხდის... რომ ევროკავშირმა გადამიხადა მე ამაში ფული...”.

ცალკე პრობლემად გამოიკვეთა აქტივისტი ქალების მიმართ პოლიციელების ქცევა და დამოკიდებულება. როგორც ზემოთ აღინიშნა, პოლიციელების მხრიდან ქალების მიმართ გინების და ფიზიკური შეურაცხყოფის არაერთი შემთხვევა დაფიქსირდა. გარდა ამისა, ქალი აქტივისტები ამბობენ, რომ პოლიცია მათ მიმართ ხშირად იჩენს დამცინავ და არასერიოზულ დამოკიდებულებას. “აგხედ-დაგხედავს, თუ რაღაცა და,

უიძეე, გოგონა, თითქოს უნდა რომ ლოყაზე გიჩქმიტოს, თუ ხელი მოგიტათუნოს... ანუ, რაღაცა, აი, რას მეტლიკინება ეხლა ეს გოგო". აქტივისტი რეგიონიდან ასევე აღნიშნავს, რომ მიზანმიმართულად ვრცელდება ჭორები მათ შორის სხვადასხვა პარტიის კაცების მიერ, თითქოს აქტივისტ ქალებს აქვთ სექსუალური კავშირი პოლიციელებთან, რაც დამაზიანებელია ქალი უფლებადამცველებისთვის.

გენდერული დეზინფორმაციის კვალი ჯანმრთელობაზე

კვლევის ყველა მონაწილე ერთხმად აღნიშნავს, რომ დეზინფორმაციულ კამპანიებს აქვს გავლენა მათ ემოციურ მდგომარეობაზე. ნაწილი აქტივისტებისა გამოიმუშავენს გამკლავების სხვადასხვა მექანიზმს და ამის შედეგად, ნაკლებად ზარალდება. ახალბედა აქტივისტებისთვის ამ სტრესთან გამკლავება განსაკუთრებით რთულია. ზოგიერთმა აქტივისტმა აღნიშნა, რომ განუვითარდათ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები, რომელსაც პირდაპირ უკავშირებენ აქტივიზმს. ეს განსაკუთრებით შეინიშნება იმ აქტივისტებში, რომლებიც მრავალი წელია, ჩართულნი არიან უფლებადაცვით საქმიანობაში და აშკარად ხედავენ გარე ზემოქმედების ხანგრძლივ ეფექტებს. ქალი აქტივისტების ნაწილი იმასაც აღნიშნავს, რომ პერიოდულად სჭირდებათ ანტიდეპრესანტებით მკურნალობა და ფსიქოლოგის მომსახურება.

ერთ-ერთი ქალი უფლებადამცველი აღნიშნავს, რომ კვებითი აშლილობა განუვითარდა. იგი ამბობს, რომ სრულყოფილი სამედიცინო გამოკვლევები ჩაიტარა და მისი მდგომარეობა შეფასდა, როგორც ნერვოზულ ნიადაგზე განვითარებული კვებითი აშლილობა. მისი თქმით, განსაკუთრებით რთულია, როდესაც შენი პირადი და საჯარო პრობლემების პარალელურად, უნდა მოაგვარო უამრავი სხვა ადამიანის პრობლემაც. ამასთან, მას მნიშვნელოვნად უჭირს სხვებისთვის დახმარებაზე უარის თქმა.

ცალკე პრობლემად გამოიკვეთა დასვენების არარსებობა. კვლევაში მონაწილე პირები აღნიშნავენ, რომ დიდი ხანია, არ ჰქონიათ დასვენების საშუალება, რაც აისახება ჯანმრთელობაზე. გადაღლილობის შესახებ, ერთ-ერთი აქტივისტი ამბობს: *“მგონია, რომ ახლა ვსო, დამთავრდა ჩემი აქტივიზმი, აღარ მინდა... რა თქმა უნდა, ეგრე არ*

ხდება. მერე ისევ ვბრუნდები, უფრო გაძლიერებული”. როგორც ერთ-ერთი მონაწილე ამბობს, “პირდაპირი მნიშვნელობით, ჯანმრთელობა დამიზიანდა... მე არც ერთ ეტაპზე არ მქონდა იმისი რესურსი, რომ გავმკლავებოდი სხვების ამდენ პრობლემას, იმიტომ, რომ ვერავის ვერ ეუბნები, რომ მაპატიე, ახლა მე ცუდად ვარ, მოდი, ორი თვე დამელოდე შენ და მერე დაგირეკავ”.

ერთ-ერთი აქტივისტი აღნიშნავს, რომ სტრესთან გასამკლავებლად, მიმართავდა თრობას, რამაც ალკოჰოლიზმის საკმაოდ რთულ ფორმებამდე მიიყვანა და შემდეგ, ამ მდგომარეობიდან გამოსასვლელად, მკურნალობა დასჭირდა. აქტივისტები აღნიშნავენ, რომ ფსიქოტერაპია არის ძალიან დიდი ფუფუნება: *“იმისთვის, რომ თერაპიაზე იარო და ფული იხადო, თვეში მარტო 400 ლარი მეხარჯება და ეგ ყველას არ შეუძლია”.* აქტივისტები აღნიშნავენ, რომ მათ ჯანმრთელობაზე ზრუნვის სერვისები არსებობს, მაგრამ უკიდურესად მწირია და საჭიროა ამ სერვისების გაფართოება, როგორც რაოდენობრივად, ისე – შინაარსითაც.

ინტერსექციურობა

კვლევის მონაწილეები თანხმდებიან, რომ სხვადასხვა უმცირესობას მიკუთვნებული უფლებადამცველი ქალების მდგომარეობა განსხვავებულად მძიმეა. ეთნიკური და რელიგიური უმცირესობის წარმომადგენელი ქალები ორმაგ წნეხში არიან. მათ, როგორც განათლებულ და სოციალურად აქტიურ ქალებს, რომლებიც ხშირად მოგზაურობენ ან ცხოვრობენ თბილისში, ადგილობრივი თემის წარმომადგენლები ეჭვის თვალით უყურებენ. ამ ქალების წინააღმდეგ ხშირია დეზინფორმაცია მათი პირადი ცხოვრების და მათი პარტნიორების შესახებ. აზერბაიჯანული თემის წარმომადგენელი ქალები ამბობენ, რომ მათ საკუთარი თემის წარმომადგენელი კაცები ხშირად აბულინგებენ გარეგნობის და თამამი ქცევების, მათ შორის, სიცილის გამოც კი. აქტივისტი ქალი რეგიონიდან ამბობს, რომ ეთნიკურ უმცირესობაში ქალ უფლებადამცველზე თავდასხმა იწყება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განსახილველი საკითხი ეხება პოლიტიკას და აღნიშნა, რომ ძირითადად თავისივე ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებისაგან იღებს ბულინგს, მაგრამ თუ ეთნიკური ქართველებისგან წამოვიდა ბულინგი, მაშინ მისი თემის წევრები იწყებენ ამ ქალის დაცვას.

რეგიონში მცხოვრები აქტივისტი ქალები, ასევე, შედარებით უფრო მძიმე მდგომარეობაში იმყოფებიან, რადგან მათ წინააღმდეგ ფიქსირდება არა მხოლოდ სიტყვიერი, არამედ ფიზიკური შეურაცხყოფაც. გარდა ამისა, მდგომარეობას ამძიმებს ისიც, რომ რეგიონში არის შედარებით მცირერიცხოვანი მოსახლეობა, სადაც ყველა ერთმანეთს იცნობს და ბულინგი და დეზინფორმაცია ვრცელდება ნაცნობი პირების მიერ, რაც უფრო ძაბავს ვითარებას და დაპირისპირება ზოგჯერ ფიზიკურ სივრცეშიც გადადის.

კვლევის მონაწილეებმა და ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ ქვიარი ქალები განსაკუთრებული გამოწვევების წინაშე დგანან. კვლევის მონაწილეები იხსენებენ კონკრეტულ შემთხვევებს ლესბოსელი ქალი აქტივისტების ცხოვრებიდან, როდესაც მათი ფოტოები და ვიდეოები, რომელიც გადაღებულია პირად სივრცეში და არ არის კავშირში პროტესტთან ან აქტივიზმთან, ვრცელდება სიმულვილის ენის თანხლებით და გამოიყენება დეზინფორმაციისთვის.

ერთ-ერთი ქალი აქტივისტი იხსენებს, რომ ცისარტყელა დროშის სამკლავურში გადაღებული ფოტოს გამოყენებით ხდებოდა მისი ანტიოკუპაციური აქტივიზმის დისკრედიტაცია.

რეგიონში მცხოვრები აქტივისტი ქალი ამბობს, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში მიმდინარე პროტესტში შედარებით უკანა პლანზე იდგა, რადგან მანამდე ის ცნობილი იყო, როგორც ლგბტ აქტივისტი და არ სურდა პროპაგანდისთვის მიეცა მიზეზი, მისი სახელი გამოეყენებინათ მიმდინარე პროტესტის წინააღმდეგ. თავად ამბობს, რომ ამ თვითცენზურამ ბოლომდე ვერ დაიცვა პროტესტი და მაინც ხშირად ახსენებენ და აძახებენ ლგბტ აქტივიზმს. უფრო მეტიც, ის ამბობს, რომ მასთან ერთად პროტესტში მყოფ რამდენიმე გოგოს ხშირად ეკითხებიან, თუ ვინ ვისი წყვილია და ასეთი წამოძახებები უსასრულოდ გრძელდება.

ერთ-ერთი ექსპერტი ამბობს, რომ ფეისბუქზე არსებობს სპეციალურად შექმნილი ჯგუფები, რომელთა სათაურიც უკვე გამოხატავს აქტივისტების გენდერულ და სექსუალურ იდენტობას და ამ ჯგუფში ხშირად ვრცელდება დეზინფორმაცია აქტივისტების სექსუალურ ორიენტაციასთან დაკავშირებით. ექსპერტის თქმით, წინასაარჩევნოდ განსაკუთრებით აქტუალური გახდა ჰომოფობიური და ტრანსფობიური მესიჯები და ქარდები ლგბტ აქტივისტების წინააღმდეგ.

ცალკე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ დეზინფორმაციულ კამპანიებში ხდება ჰომოფობიის ინსტრუმენტალიზაცია და ხშირად, დეზინფორმაცია პროტესტში ჩართული ადამიანების წინააღმდეგ სწორედ სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე იგება. ასეთი დეზინფორმაცია გვხვდება როგორც ქალების, ისე კაცების შემთხვევაში. აქტივისტები აღნიშნავენ, რომ ლგბტ თემატიკასთან დაკავშირებულ დეზინფორმაციას პასუხს არ სცემენ.

კვლევაში რამდენჯერმე წამოიწია ფსიქიკური ჯანმრთელობის თემამ და აღინიშნა, რომ ქალ აქტივისტებზე თავდასხმები ხორციელდება, მათ შორის, მათ ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული დეზინფორმაციით.

რადიაციულობა

უფლებადამცველი ქალები საუბრისას აღნიშნავენ, რომ ინტენსიური დეზინფორმაციული კამპანიები ხშირად რადიაციულია და ის ზიანს აყენებს არამარტო ამ ქალებს, არამედ – მათი ოჯახის წევრებსაც. ერთ-ერთი აქტივისტი რეგიონიდან იხსენებს, რომ მის მცირეწლოვან შვილს კონფლიქტი მოუვიდა თავის კლასელთან, რომელმაც გაიმეორა სახლში მოსმენილი და გალანძღა აქტივისტი ქალი. ამ ბავშვის დედა იყო საკრებულოს თანამშრომელი და შვილის თანდასწრებით ლანძღავდა კლასელის დედას. ამ კონფლიქტმა სკოლაში გადმოინაცვლა და ბავშვებს შორის ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა, რასაც მოჰყვა სკოლის დირექციის და მშობლების ჩარევა.

არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელი ქალი იხსენებს, რომ დეზინფორმაციის პიკში, დედამისს მალაზიაში ეჩხუბნენ შვილის საქმიანობის გამო. ასაკში შესული ქალი დაიბნა და ადგილზე ვერ მოახერხა შეპასუხება, რის გამოც დიდ ხანს დარდობდა.

ერთ-ერთი აქტივისტი რეგიონიდან ასევე იხსენებს, რომ დეზინფორმაციული კამპანია ასევე შეეხო მის მშობლებს, სადაც გამჟღავნდა მისი მშობლების პერსონალური და დაცული პირადი ინფორმაცია და პროპაგანდის მიერ ეს ინფორმაცია გამოყენებულ იქნა მთელი ოჯახის წინააღმდეგ.

ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელი ქალი იხსენებს, რომ ტელევიზია იმედის მიერ გავრცელებულ დეზინფორმაციულ გადაცემაში, მის ქონებად გამოაცხადეს მისი ძმის ქონებაც. როგორც ის ყვება, ამ დეზინფორმაციით შეწუხებული ძმა ერთი პერიოდი აპირებდა კიდეც, ეჩივლა ტელევიზიისთვის, მაგრამ უსამართლო სასამართლოს პირობებში სამართლიანობის აღდგენის იმედი არ ჰქონდა და ამიტომ, თავი შეიკავა.

ერთმა უფლებადამცველმა ქალმა გაიხსენა ამბავი, როდესაც მის 11 წლის შვილს დაურეკეს და დედა გაულანძლეს. აღნიშნულმა დედაზეც და ბავშვზეც მძიმე გავლენა იქონია.

ერთ-ერთი უფლებადამცველი ამბობს, რომ მისი მშობლები ძალიან ემოციურად განიცდიან დეზინფორმაციულ კამპანებს. ის ყვება, რომ დედამისს უვითარდება შიშები და ზოგჯერ დეპრესიამდე მიდის, ვინაიდან მისი მშობლები კითხულობენ კომენტარებს დეზინფორმაციული პოსტების ქვეშ და უჭირთ ნამდვილი ადამიანების ტროლ-ბოტებისაგან გამიჯვნა.

ერთ-ერთი ექსპერტი იხსენებს შემთხვევას, როდესაც ალტ-ინფომ გაასაჯაროვა აქტივისტი ქალის საცხოვრებელი მისამართი და საფრთხეში ჩააგდო არა მხოლოდ ეს ქალი, არამედ – მისი ოჯახი და შვილებიც. დაფიქსირდა, ასევე, დეზინფორმაციული ფოტოები და პოსტები აქტივისტი ქალის შვილთან მიმართებაშიც.

დეზინფორმაციასთან და სტრესტთან გამკლავების მექანიზმები

აქტივისტები გამკლავების ერთ-ერთ მექანიზმად განიხილავენ დროებით განრიდებას აქტივიზმისგან, რათა მოიკრიბონ ძალები და შემდეგ განაახლონ მუშაობა: *“წასვლა ცოტა ხანს და დასვენება ან რაღაცა განტვირთვა, გვშველის, მე ასე მგონია, რომ აუცილებელია”.*

ქალი უფლებადამცველები თვლიან, რომ სხვა აქტივისტებთან გამოცდილების გაზიარება მათ აძლიერებთ. ასევე, აქტივისტები აღნიშნავენ, რომ ერთმანეთის

მხრიდან გამოხატული ზრუნვა ძალიან მნიშვნელოვანია: *“ყველაფერი უნდა აიტანო, ან, შეიძლება, არც კი იციან ხოლმე, რას გავდივართ, იმიტომ რომ ჩვენ ამას არ ვყვებით; და არ ვიცი, სწორია თუ არა, რომ არ ვყვებით, მაგრამ რაღაცნაირად სოლიდარობა ნაკლებად არის. ვიღაცას რაღაცა ერთხელ მაინც რომ შეეხებათ, იმათ მიმართ უფრო არის სოლიდარობა, ვიდრე აი ამ “ენჯეო ლიდერების” მიმართ, რომლებიც სულ ამ ამბავში ვართ”.*

არასამთავრობო ორგანიზაციების ხელმძღვანელი ქალები ამბობენ, რომ დეზინფორმაციულ კამპანიაზე პასუხად გამოდგება იმის ჩვენება, თუ რეალურად რამდენ ადამიანს დაეხმარა დეზინფორმაციული თავდასხმის ობიექტად ქცეული კონკრეტული ორგანიზაცია. მათი აზრით, მნიშვნელოვანია წლიური ანგარიშების გამოქვეყნება და პერსონალური ისტორიების მოყოლა, რასაც აქამდე არასამთავრობო ორგანიზაციები არ აკეთებდნენ რესურსის ნაკლებობის გამო. *“ერთი ქარდი დადე, რამდენ ადამიანს ეხმარები. ხომ ძალიან ბევრს აკეთებ, აი, ობიექტურად, მართლა ძალიან ბევრს აკეთებ”.*

ქალი აქტივისტები ამბობენ, რომ მათ აძლიერებთ ის სიყვარული და მადლიერება, რომელიც ხალხისგან მოდის, განსაკუთრებით, როდესაც ადამიანები რეალურ ცხოვრებაში ამას ღიად გამოხატავენ: *“ძალიან მოქმედებს შემთხვევითი ნაცნობების, რომლებიც მაინცდამაინც შენს მეგობრებად არ იდენტიფიცირდებიან, და უცნობების მიერ გამოხატული საჯარო მხარდაჭერა... ყველა ადამიანი მახსოვს, ვისაც კი ეგ დაუწერია საჯაროდ და ძან მნიშვნელოვანი მგონია”.*

აქტივისტები ამბობენ, რომ დიდი ფსიქოლოგიური სტრესის პირობებში სათანადო მკურნალობა, მათ შორის ანტიდეპრესანტებით, არის ძალიან მნიშვნელოვანი და საჭიროების შემთხვევაში, აუცილებელია ექიმთან ვიზიტი.

კვლევაში მონაწილეთა დიდი ნაწილი საუბრობს ფსიქოთერაპიის დადებით გამოცდილებაზე და მიაჩნიათ, რომ აქტივიზმსა და საჯარო ცხოვრებაში ჩართულ ადამიანებს აუცილებლად უნდა ჰქონდეთ თერაპიაზე ხელმისაწვდომობა. ისინი ასევე აღნიშნავენ, რომ ფსიქოთერაპია საკუთარი სახსრებით ფუფუნებაა და შესაძლებელია მხოლოდ სათანადო ანაზღაურების შემთხვევაში.

აქტივისტები აღნიშნავენ, რომ ვარჯიში, იოგა და მედიტაცია არის ის პრაქტიკები, რომელიც მათ ეხმარება სტრესთან გამკლავებაში.

ერთ-ერთი აქტივისტის თქმით, მისთვის სტრესთან გამკლავების კომფორტული გზა ხელსაქმეა, მაგალითად ქსოვა. აქტივისტები აღნიშნავენ, რომ ძალიან ეხმარებათ მიწასთან მუშაობა, მცენარეების მოვლა. ერთ-ერთმა აღნიშნა, რომ მიწათმშენებლობის კურსს გადის: *“მიწას ვზელ, მიწით ვაკეთებ აგურებს, კედლებს ვაშენებ, საოცრებაა”*. მეორე მონაწილემ თქვა, რომ კარგი გამოცდილება იყო კერამიკის კურსის გავლა, სადაც არასამთავრობო ორგანიზაციის თანამშრომლები ერთად დადიოდნენ. ასევე, ერთ-ერთი აქტივისტი ყვება, რომ ტიკ-ტოკი ეხმარება სხვა რეალობაში დროებით გადასასვლელად.

გამკლავების ერთ-ერთ მექანიზმად დასახელდა იმის ცოდნა და გააზრება, რომ აქტივისტის შესაძლებლობები ლიმიტირებულია და ის ყველაფერს ვერ მოაგვარებს: *“ყველაფერი ჩემი გასაკეთებელი არ არის, ყველაფრის გაკეთება არ შემიძლია, და რისიც შემიძლია, იმისთვისაც მადლობას ვუხდის ხოლმე საკუთარ თავს და თუ არ შემიძლია, დანაშაულის განცდას ვცდილობ, რომ არ ავყვე”*. ამასთან, გამოწვევად დასახელდა დანაშაულის შეგრძნება – როცა ფიქრობ, რომ აქტივიზმში ბოლომდე არ იხარჯები; ასევე, დანაშაულის შეგრძნება, რომ ოჯახს საკმარის დროს ვერ უთმობ. უფლებადამცველების თქმით, ამ განცდასთან გამკლავება და გადააზრება, თავის არდადანაშაულება, თავად არის სტრესთან გამკლავების ერთ-ერთი მექანიზმი.

აქტივისტები აღნიშნავენ, რომ ტოქსიკურ გარემოსთან გამკლავებაში მათ ძალიან ეხმარება იმის გაცნობიერება, რომ ასეთი თავდასხმები არის აქტივიზმის შემადგენელი ნაწილი და რომ მათ სინამდვილეში შესწევთ ძალა, გაუძლონ ამას. ბევრი მათგანი აღნიშნავს, რომ მათ თითქმის ველარანაირად ვერ აზიანებს ტროლების მხრიდან წამოსული დეზინფორმაციისა და შეურაცხყოფის ნიაღვარი.

აქტივისტები ამბობენ, რომ ძალიან მნიშვნელოვანია, უფლებადამცველი ყურადღებას არ აქცევდეს ტროლების აქტიურობას და, შეძლებისდაგვარად, საერთოდ არ იკითხოთ ტროლებოტების მიერ დაწერილი კომენტარები; ისინი ახლობლებსაც ხშირად აფრთხილებენ, რომ არ აინტერესებთ შეურაცხმყოფელი კომენტარების კითხვა. *“არ ვუყურებ, ვისხლიტავ ყველაფერს... ვცდილობ, რომ არც შევხედო, არც წავიკითხო და საერთოდ ახლოს არ მივიკარო ასეთი ჭუჭყიანი ნიუსები. ამიტომ, შეიძლება მე არც მაქვს ინფორმაცია, სინამდვილეში ჩემზე რას ავრცელებენ”*.

აქტივისტები თანხმდებიან, რომ ზოგიერთი დეზინფორმაციისთვის პასუხის გაცემა მნიშვნელოვანია და დაიგნორება ყოველთვის არ არის საუკეთესო გამოსავალი. ერთ-ერთი უფლებადამცველი იხსენებს, რომ სპეციალურად წავიდა ტელევიზიაში დებატებზე ცილისმწამებელთან. ის ყვება, რომ იყო გაბრაზებული და გეგმავდა მწვავე დაპირისპირებას, მაგრამ ადგილზე გადაიფიქრა: *“შეცვალე სტრატეგია და მან მშვიდად ველაპარაკებოდი, რომ მეთქი, აი, აგერ არის პროექტი, აგერ არის დაფინანსება, აგერ წამოდი ჩემთან ოფისში დღესვე და გაჩვენებ იქ რა ხდება”*. უფლებადამცველი იხსენებს, რომ მოწინააღმდეგე დაიბნა და ამ გადაცემის შემდეგ, ეს კონკრეტული დეზინფორმაცია შეწყდა.

ერთ-ერთი აქტივისტი რეგიონიდან გვიყვება, რომ დეზინფორმაციისთვის პასუხის გასაცემად, ყველაზე ეფექტურად იყენებს იუმორს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ბრალდებები აბსურდულია და ძნელია მათზე პასუხის გაცემა, ხუმრობა და იუმორი კარგი გამოსავალია, რაც ხსნის დამაბულობას და ფანტავს ეჭვებს.

ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის ლიდერი ამბობს, რომ დეზინფორმაციაზე პასუხის გასაცემად გამოცდილი ფორმაა დეზინფორმაციული პოსტის გამოტანა, ზედ წითლად ხაზის გადასმა და ზემოდან გადაწერა, რომ ეს დეზინფორმაციაა.

დეზინფორმაციასთან მიმართებაში სასამართლოს გამოყენება არსებული რეჟიმის პირობებში უფლებადამცველებს მიზანშეწონილად არ მიაჩნიათ. ერთ-ერთი რესპონდენტი იხსენებს: *“სასამართლო გრძელდებოდა 8 წელი... უკან რომ დამაბრუნო, მე სასამართლოში არ წავიდოდი... ფაქტობრივად ნახევრად მოვიგე, უბრალოდ ბოდიში არ მოახდევინა სასამართლომ, მაგრამ ეგ ხომ ვერავინ ვერ გაიგო”*.

უფლებადამცველები ფიქრობენ, რომ აუცილებელია, საფუძვლიანად და ეფექტურად იქნას გამოძიებული, თუ ვინ დგას ამ ორგანიზებული ქსელის უკან, რომელიც ასე კოორდინირებულად ეწევა დეზინფორმაციის კამპანიებს უფლებადამცველების წინააღმდეგ. მათ მიაჩნიათ, რომ მნიშვნელოვანია, დადგინდეს იმ ადამიანთა ვინაობა, რომლებიც ათობით და ასობით ანგარიშს მართავენ ანონიმურად და დადგეს მათი პასუხისმგებლობის საკითხიც.

უფლებადამცველები აღნიშნავენ, რომ დეზინფორმაციასთან ბრძოლაში ძალზე მნიშვნელოვანია მსხვილი სოციალური ქსელების მმართველთა როლი. ექსპერტების აზრით, მნიშვნელოვანია იმ საქმის გაგრძელება, რასაც ჰქვია არავთენტური

ქსელების იდენტიფიცირება და წაშლა. მნიშვნელოვნად შეფასდა ევროკავშირის დიჯიტალ სერვის აქტის არსებობა. ამ ეტაპზე მუშაობს მექანიზმი, რომ ყალბად მონიშნული ამბავი ალგორითმმა სხვადასხვა პოსტებში იპოვნოს და მის გავრცელებას ხელი შეუშალოს. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ სექსისტური და სექსუალური შინაარსის კონტენტის გავრცელება ფეისბუქის შიდა წესების მიხედვით აკრძალულია, თუმცა, სოციალური ქსელი არაეფექტურია ამ საკითხში. ექსპერტის თქმით, *“ათეულობით სექსუალური შინაარსის, მათ შორის, ხელოვნური ინტელექტის გენერირებული ვიდეო მინახავს, რომელსაც ვარეპორტებთ, მაგრამ თვეები პლატფორმაზეა და არ იშლება”*. შესაბამისად, ფეისბუქთან თანამშრომლობა ეფექტიანი ვერაა. მისი საზოგადოების სტანდარტების დამრღვევი კონტენტის დარეპორტების პასუხი ზოგჯერ იმდენად იგვიანებს, რომ რეაგირებასაც აზრი ეკარგება. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ბოლო პერიოდში, ტიკ-ტოკი უფრო მეტად თანამშრომლობს ექსპერტებთან ფაქტების გადამოწმების და რეაგირების კუთხით, ხოლო ფეისბუქთან თანამშრომლობა გაუარესდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ამერიკაში გაუქმდა ფაქტების გადამოწმების სპეციალური ხელსაწყო.

უფლებადამცველები მიიჩნევენ, რომ ამ საინფორმაციო ომში მნიშვნელოვანია პროპაგანდისტული ნარატივების ანალიზი, კონტრნარატივების შემუშავება და ეფექტიანი გამოყენება. ისინი ფიქრობენ, რომ ერთმანეთს უნდა ეხმარებოდნენ სწორი პასუხების მოფიქრებაში და მხარდაჭერის გამოხატვაში. რესპონდენტთა აზრით, ასევე, მნიშვნელოვანია, თუ ვინ პასუხობს დეზინფორმაციას. შესაძლოა, ეს პროფესიულად კეთდებოდეს ფაქტჩეკერების მიერ, რაც ოფიციალური წყარო ხდება და მაღალი სანდოობა გააჩნია.

ექსპერტები, ასევე, საუბრობენ ფრებანკინგზე (pre-bunking). როცა არსებობს მოლოდინი, რომ დეზინფორმაცია გავრცელდება ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია, ამას დაუპირისპირო ფაქტები დეზინფორმაციის გავრცელებამდე. ასეთ დროს, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დროულ მოქმედებას.

უფლებადამცველები აღნიშნავენ, რომ მნიშვნელოვანია დეზინფორმაციის დოკუმენტირება, მასში გენდერული ნიშნის დადგენა, საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობა და პასუხი აღნიშნულ პრობლემაზე.

კვლევაში მონაწილე ექსპერტები მიიჩნევენ, რომ მხოლოდ მედიაწიგნიერების ამაღლებით, წარმოუდგენელია გენდერულ დეზინფორმაციასთან ბრძოლა.

დეზინფორმაციული კამპანიების გავრცელების შესამცირებლად, მნიშვნელოვანია სახელმწიფოში გენდერული სტერეოტიპების წინააღმდეგ მუშაობა. თუმცა, საზოგადოებას უნდა ესმოდეს, რომ სექსისტური კონტენტის გავრცელება კონტრპროდუქტიულია თუნდაც კეთილი ზრახვით ან მასთან დაპირისპირების მიზნით; დეზინფორმაციას ისე უნდა დავუპირისპირდეთ, რომ მის გავრცელებას არ შევუწყოთ ხელი, ამბობენ ექსპერტები.

დასკვნა

ფოკუს-ჯგუფის შედეგები ნათლად აჩვენებს, რომ ქალი უფლებადამცველებისა და აქტივისტების წინააღმდეგ მიმართულ დეზინფორმაციას საქართველოში აქვს მკაფიო მიზნები, კარგად ორგანიზებული „პროპაგანდის მანქანის“ მახასიათებლები და მკვეთრად გამოხატული გენდერული ბუნება. მონაწილეთა შეფასებები ერთმანეთთან დიდწილად თანხვედრაშია, რაც მიუთითებს, რომ ეს გამოცდილება ინდივიდუალური ან შემთხვევითი კი არ არის, არამედ სისტემურ და მოვლენას წარმოადგენს.

პირველ რიგში, ყველა ჯგუფში ერთმნიშვნელოვნად გამოიკვეთა დეზინფორმაციული კამპანიების მთავარი მიზნები: აქტიური ქალების იმიჯის შელახვა და დისკრედიტაცია, მათი დემორალიზება დეჰუმანიზაცია, და საბოლოოდ, მათი ჩამოშორების მცდელობა სამოქალაქო და საჯარო სივრციდან. მონაწილეები აღწერენ, რომ მიზნის მიღწევა ხშირად ხდება ფსიქოლოგიური ზიანის მიყენებით, ემოციური გადაღლით და შიშის გაღვივებით, რის შედეგადაც, ქალებს უჩნდებათ სურვილი, საერთოდ შეწყვიტონ ან შეამცირონ საჯარო პოზიციონირება. ამასთან, ერთი კონკრეტული აქტივისტის წინააღმდეგ მიმართულ მასიურ შეტევას აქვს მსუსხავი ეფექტი და ის იგზავნება, როგორც გამაფრთხილებელი სიგნალი სხვა ქალებისთვის, რომ აქტიურობა „ძვირად დაუჯდებათ“ როგორც მათ, ასევე – მათი ოჯახის წევრებს.

მონაწილეები ერთხმად საუბრობენ დეზინფორმაციული კამპანიების კოორდინირებულობის შესახებ. მათი დაკვირვებით, დეზინფორმაცია ვრცელდება

ერთდროულად სხვადასხვა პლატფორმაზე (ფეისბუქი, ტიკ-ტოკი, ტელევიზიები), ხშირად ერთი და იგივე შინაარსით ან იდენტური სათაურებითა და კომენტარებით, რაც ქმნის კოორდინირებულ კამპანიას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ ბოლო წლებში, დეზინფორმაცია აღარ არის მხოლოდ ანონიმური გვერდების პროდუქტი: მას ორკესტრირებულად ავრცელებენ პროსახელისუფლებო მედიასაშუალებები და, რიგ შემთხვევებში, მაღალი რანგის პოლიტიკური ფიგურები, რომლებიც არა მხოლოდ ავრცელებენ, არამედ ხშირად დეზინფორმაციული ნარატივების პირველწყარონიც ხდებიან. კვლევის მონაწილე რესპონდენტებიდან, უკლებლივ ყველა აღნიშნავს დეზინფორმაციის გენდერულ ასპექტს. ქალი აქტივისტების წინააღმდეგ გამოყენებული შეტევები სისტემურად ეყრდნობა სექსისტურ სტერეოტიპებს. გარეგნობაზე, „არაქალურობაზე“, ემოციურობაზე, დედობაზე, სექსუალობასა და სექსუალურ ორიენტაციაზე დამცინავი ან დამამცირებელი კომენტარები დასახელდა, როგორც ყველაზე ხშირი პრაქტიკა, ეს კი მიზანმიმართულად აზიანებს ქალის პროფესიულ რეპუტაციას და პიროვნულ ღირსებას. მონაწილეები ხაზს უსვამენ, რომ მსგავსი ტიპის შეტევები კაც აქტივისტებზე გაცილებით იშვიათია, რის გამოც, დეზინფორმაციის გენდერული ხასიათი განსაკუთრებით თვალსაჩინოა.

მეორე მნიშვნელოვანი განზომილებაა ინტერსექციურობა. კვლევამ აჩვენა, რომ ეთნიკური, რელიგიური უმცირესობების წარმომადგენელი, ქვიარი, ასევე რეგიონებში მცხოვრები ქალები, ბევრად უფრო მძლავრ ზეწოლას განიცდიან. მათზე შეტევები ხშირად მოდის როგორც გარე პროპაგანდისტული ქსელებიდან, ისე – საკუთარი თემის შიგნიდან, რაც რთულ არჩევანს აჩენს - საჯაროდ იაქტიურონ, თუ უსაფრთხოების გამო უკან დაიხიონ. განსაკუთრებით მძიმეა ლგბტ აქტივისტი ქალების გამოცდილება, რომელთა პირადი სივრციდან ამოღებული მასალა ხშირად გამოიყენება არა მხოლოდ მათი, არამედ მთლიანად პროტესტისა და უფლებადაცვითი დღის წესრიგის საწინააღმდეგოდ.

დეზინფორმაციის გავლენა მონაწილეთა ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე – ერთ-ერთ ყველაზე მტკივნეულ მიგნებად გამოიკვეთა. ქალები საუბრობენ მუდმივ სტრესზე, შფოთვაზე, დეპრესიულ სიმპტომებზე, კვებით აშლილობაზე, გადაღლილობაზე, წლების განმავლობაში დაგროვილ გრძელვადიან ზიანზე. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმას, რომ საჯარო საქმიანობის პარალელურად, მათი სამუშაო ხშირად უკავშირდება სხვა ადამიანების კრიზისებზე რეაგირებას, რაც

დამატებით ემოციურ რესურსს მოითხოვს. ამავე დროს, ფსიქოთერაპია მათთვის ხშირად ფუფუნებაა, მისი სიძვირის გამო.

გარდა პიროვნული ზიანისა, დეზინფორმაციას აქვს „რადიაციული“ ეფექტი - ის ვრცელდება ოჯახის წევრებზე, მათ შორის, არასრულწლოვან ბავშვებზე. მონაწილეები აღწერენ, თუ როგორ ხდება მათი ოჯახის წევრების დისკრედიტაცია, მათი მონაცემების გამჟღავნება, მუქარა და შეურაცხყოფა, რაც აქტივისტ ქალებზე ზეწოლას კიდევ უფრო აძლიერებს.

ამ მძიმე რეალობის პარალელურად, ფოკუს-ჯგუფმა გამოკვეთა მასთან გამკლავების სხვადასხვა სტრატეგია. მონაწილეები ხაზს უსვამენ დროებით განრიდებას და დასვენებას, სოლიდარობისა და გამოცდილების გაზიარების მნიშვნელობას, პროფესიული დახმარების (ფსიქოთერაპია/მედიკამენტური მხარდაჭერა) საჭიროებას, ასევე ინდივიდუალურ თვითზრუნვის პრაქტიკებს (ვარჯიში, მედიტაცია, ხელსაქმე, ბუნებასთან და მიწასთან მუშაობა). სტრატეგიული პასუხის კატეგორიაში კი, გამოიკვეთა დეზინფორმაციის მიზნობრივი და დროული უარყოფა, ირონიის/იუმორის გამოყენება, დეზინფორმაციული პოსტების ვიზუალური მონიშვნა, პრე-ბანკინგი (ფაქტების წინასწარ გავრცელება), და იმ საქმიანობის დემონსტრირება, რომელსაც უფლებადამცველი ორგანიზაციები რეალურად ახორციელებენ. არსებული პოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინებით, მონაწილეები სკეპტიკურად აფასებენ სასამართლო მექანიზმების ეფექტიანობას და განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ იმ ქსელების იდენტიფიცირებასა და დემონტაჟს, რომლებიც ორგანიზებულ დეზინფორმაციას წარმართავენ.

საერთო ჯამში, ფოკუს-ჯგუფის შედეგები ადასტურებს, რომ ქალი უფლებადამცველების წინააღმდეგ გავრცელებული დეზინფორმაცია საქართველოში წარმოადგენს არა სპონტანურ ონლაინ ბულინგს, არამედ – გენდერულად მოტივირებულ, კოორდინირებულ სტრატეგიას, რომლის მიზანია ქალების დისკრედიტაცია, დეჰუმანიზაცია და საზოგადოებრივ სივრცეში მათდამი ნდობის შემცირება. ამ პროცესს აქვს როგორც ინდივიდუალური, ასევე სოციალური ზიანი: იგი ამცირებს ქალების მონაწილეობას, ახალისებს გენდერულ ძალადობას და ასუსტებს დემოკრატიულ მოქალაქეობრივ აქტივიზმს.

ამ მიგნებებზე დაყრდნობით, ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები მიიჩნევენ, რომ

პრობლემაზე პასუხი საჭიროებს ერთდროულად რამდენიმე მიმართულებით მუშაობას:

- ორგანიზებული დეზინფორმაციული ქსელების საფუძვლიან შესწავლასა და მათ უკან მდგომი პირების იდენტიფიცირებას;

- სოციალური პლატფორმების მიერ არაავთენტური ქსელების იდენტიფიცირებას და წაშლას;

- აქტივისტებისა და უფლებადამცველებისთვის ფსიქოლოგიური მხარდაჭერის ხელმისაწვდომობის გაზრდას;

- სოლიდარობისა და კონტრნარატივების გამლიერებას ისე, რომ დეზინფორმაციის გავრცელებას არ შეეწყოს ხელი;

- გენდერული სტერეოტიპების წინააღმდეგ გრძელვადიან პოლიტიკასა და საგანმანათლებლო მუშაობას, რადგან ამგვარი გენდერული შეტევების შესაჩერებლად, მხოლოდ მედიაწიგნიერება ვერ იქნება საკმარისი.